ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კობა ბოჭორიშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ემზარ პაქსაძე– კოლეგიის წევრი

ეკატერინე გასიტაშვილი– კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.06.2012

საჩივრის რეგისტრაციის №073/12

საჩივარი შეტანილია: გ. კ.-ის მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: გ. კ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 27 ივნისს გ. კ.-მ საჩივრით მომართა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა გ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, გ. კ.-თან გაიარა იურიდიული კონსულტაცია, რის შემდეგადაც დადეს ზეპირი შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, გ. კ. დაპირდა მას სადავო სამოქალაქო საქმის წარმატებით დასრულებას.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, გ. კ.-ს გაუფორმა რწმუნებულება, გადაუხადა მის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი, რის შემდეგადაც გ. კ.-მა დაიწყო საქმის წარმოება.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, სადავო სამოქალაქო საქმე ეხებოდა ორ ხელშეკრულებას, რომელთაგანაც ერთ-ერთი სამართლებრივად გაუმართავი იყო. საჩივრის ავტორის განცხადებით, გ. კ.-მა მოატყუა და ორივე ხელშეკრულება გაასაჩივრებინა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმის განხილვა დასრულდა მორიგებით, სასამართლო პროცესზე გ. კ.-მა გამოავლინა არაპროფესიონალიზმი, მის მიერ არაფერი თქმულა სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით მას უკან დაუბრუნდა მხოლოდ მის მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟის ნაწილი.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, გ. კ.-მა დაპირდა მას ხანდაზმული სისხლის სამართლის საქმის მის სასარგებლოდ წარმართვას, ხოლო გასაწევი სამუშაოსთვის კი მოითხოვა ანაზღაურება 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, გ. კ.-მა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–3 მუხლით გათვალისწინებული ნდობის პრინციპი.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, გ. კ. არ ირიცხება სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრად.

3. სამართლებრივი შეფასება:

3.1 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს.

3.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში გ. კ. არ წარმოადგენს ,,ადვოკატთა შესახებ“ კანონის 1–ლი მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრს. შესაბამისად, ეთიკის კომისიას არ გააჩნია უფლებამოსილება იმსჯელოს მის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

3.3 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, რადგან გ. კ. არ წარმოადგენს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრს.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

1. 2012 წლის 27ივნისის №073/12 საჩივართან დაკავშირებით შეწყდეს დისციპლინური წარმოება და საჩივრის ავტორს უარი ეთქვას საჩივრის განხილვაზე.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ჩაბარდეთ მხარეებს.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კობა ბოჭორიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ემზარ პაქსაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/